

ამოცანები მოცემულია გასუხეხობთან ერთად. არ გამოიყენოთ პენსილს და დროს!

3 ქულა

**1 (შვედეთი).** ქვემოთ მოცემული გამოსახულებებიდან რომელს აქვს უმცირესი რიცხვითი მნიშვნელობა?

- (A)  $202 \div 6$       (B) 202.6      (C)  $20 + 26$       (D)  $202 - 6$       (E)  $20 \times 26$

**2 (რუსეთი).** პალინდრომი რიცხვი არის ისეთი რიცხვი, რომელიც ერთნაირად იკითხება როგორც მარცხნიდან მარჯვნივ, ისე მარჯვნიდან მარცხნივ. თუ ვანო თავის ერთ-ერთ განვლილ დაბადების დღის თარიღს ჩაწერს დღ.თთ.წწწწ ფორმატში (დღე, თვე, წელი), მაშინ მიიღებს პალინდრომ რიცხვს (წერტილების გათვალისწინების გარეშე). რომელ თვეშია ვანო დაბადებული?

- (A) იანვარში      (B) თებერვალში      (C) სექტემბერში      (D) ოქტომბერში      (E) ნოემბერში

**3 (ლატვია).** ეკას ჰქონდა 19 ქლიავი. მან ყველა ქლიავი დაურიგა მის ხუთ მეგობარს. თითოეულს ერგო ან 3 ან 4 ქლიავი. რამდენ მეგობარს შეხვდა 4 ქლიავი?


- (A) 1      (B) 2      (C) 3      (D) 4      (E) 5

**4 (ესპანეთი).** რიცხვი 2026 აკმაყოფილებს შემდეგ ორ თვისებას: მის ოთხ ციფრს შორის ზუსტად ორი ციფრია ერთნაირი, ხოლო ოთხივე ციფრის ჯამი არის 10. სულ რამდენი ასეთი წელია 21-ე საუკუნეში?

- (A) 1      (B) 2      (C) 3      (D) 4      (E) 5

**5 (ირანი).** მოცემულია  $PQR$  ტოლგვერდა სამკუთხედი.  $S$  წერტილი არის  $PR$  გვერდის შუა წერტილი.  $QS$ -ის შუა წერტილიდან გავლებულია  $PR$ -ის პარალელური წრფე. სამკუთხედის რა ნაწილია რუხი ფერის?

- (A)  $\frac{1}{8}$       (B)  $\frac{3}{10}$       (C)  $\frac{1}{4}$       (D)  $\frac{3}{8}$       (E)  $\frac{1}{3}$



**6 (ბელარუსი).** ანამ დაწერა შვიდნიშნა რიცხვი, 193391X, რომლის ბოლო ციფრიც დაფარულია X-ით. ანას მიერ დაწერილი რიცხვი იყოფა 6-ზე. რა ციფრია დაფარული?

- (A) 0      (B) 2      (C) 4      (D) 6      (E) 8

**7 (ბელარუსი).** იპოვეთ შემდეგი გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობა:  
 $(1 - 2) - (3 - 4) - (5 - 6) - \dots - (2025 - 2026)$ .

- (A) -1013      (B) -1011      (C) 1011      (D) 1013      (E) 2024


**8 (მექსიკა).** მოცემულია რიცხვები: 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7. ქრისტინეს სურს, ჩაწეროს შვიდივე რიცხვი მოცემული ცხრილის უჯრებში, თითოში - თითო. მან ორი რიცხვი უკვე ჩაწერა ისე, როგორც ნაჩვენებია სურათზე. ამასთან ქრისტინეს სურს, რომ ყოველ ორ მიმდებარე უჯრაში ჩაწერილი რიცხვების ჯამი კენტი იყოს და ასევე, ნებისმიერ სამ ერთმანეთის მომდევნო უჯრის რიცხვების ჯამი 3-ის ჯერადი არ იყოს. რისი ტოლი იქნება რუხი ფერის უჯრებში ჩაწერილი რიცხვების ჯამი?

2					5
---	--	--	--	--	---

- (A) 5      (B) 7      (C) 9      (D) 11      (E) 13

ამოცანები მოცემულია გასუბობთან ერთად. არ გამოიყენოთ პონკურსის დროს!

**9 (ესპანეთი).** ნახაზზე მოცემულია ტოლგვერდა სამკუთხედი და სამი წრეწირის რკალი, რომელთა ცენტრები სამკუთხედის წვეროებია, ხოლო რადიუსის სიგრძე სამკუთხედის გვერდის სიგრძის ტოლია. ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდის სიგრძეა 2 სმ. რისი ტოლია რუხი ფიგურის პერიმეტრი?



- (A)  $\pi$  სმ                      (B) 6 სმ                      (C)  $2\pi$  სმ  
(D) 8 სმ                      (E)  $4\pi$  სმ

**10 (გაერთიანებული სამეფო).** ფერმერს ჰყავს ძაღლები, ცხვრები, თხები, ღორები და ძროხები. ძროხების რაოდენობა მეტია ღორების რაოდენობაზე, ღორების რაოდენობა მეტია თხების რაოდენობაზე, თხების რაოდენობა მეტია ცხვრების რაოდენობაზე და ცხვრების რაოდენობა მეტია ძაღლების რაოდენობაზე. ძაღლების რაოდენობა ძროხების რაოდენობის ნახევარია. იპოვეთ ცხოველთა რაოდენობის უმცირესი შესაძლო მნიშვნელობა?


- (A) 28                      (B) 30                      (C) 32                      (D) 34                      (E) 36

4 ქულა

**11 (გერმანია).** ტბაზე ხუთი მოლაშქრე კოლოებმა დაკბინა. თითოეულ მათგანს აქვს 7, 9, 10, 13 და 14 ნაკბენი. ანას და ლილვს ერთად აქვთ სამჯერ მეტი ნაკბენი, ვიდრე კახას. მაიასა და ლილვს ერთად აქვთ ორჯერ მეტი ნაკბენი, ვიდრე პეტრეს. რამდენი ნაკბენი აქვს ლილვს?

- (A) 7                      (B) 9                      (C) 10                      (D) 13                      (E) 14

**12 (პოლონეთი).** სურათზე მოცემულ თავსატეხში თეთრ ექვსკუთხედებში უნდა ჩაიწეროს მარტივი რიცხვები: 2, 3, 5, 7, 11 და 13, თითოში - თითო. ყოველ ორ უშუალო მეზობელ თეთრ ექვსკუთხედში ჩაწერილი რიცხვების ჯამი არ უნდა იყოს მარტივი რიცხვი. რიცხვი 2 უკვე ჩაწერილია. სულ რამდენი გზით შეიძლება თავსატეხის დასრულება?




- (A) 2                      (B) 6                      (C) 12                      (D) 60                      (E) 120

**13 (მიანმარი).** წრეწირი 15 წერტილით თანაბარ ნაწილებად არის დაყოფილი. იპოვეთ იმ წესიერი მრავალკუთხედების რაოდენობა, რომელთა წვეროები მოცემული 15 წერტილიდან იქნება არჩეული?

- (A) 5                      (B) 7                      (C) 9                      (D) 11                      (E) 13


**14 (სლოვაკეთი).** ხის დიდ კუბში, რომელიც პატარა კუბებისგან შედგება, ბუდე მოიწყო ხის ექვსმა ჭიამ. თითოეულმა მათგანმა გაახვრიტა დიდი კუბი მთლიან სიგრძეზე ერთ-ერთი წიბოს პარალელურად. ნახაზზე ნაჩვენებია ექვსივე გვირაბის შესასვლელი. რამდენი პატარა კუბი არ არის გახვრიტილი?



- (A) 8                      (B) 10                      (C) 12                      (D) 15                      (E) 21


ამოცანები მოხაზულია გასუხეხობთან ერთად. არ გამოიყენოთ პონკურსის დროს!

**15 (ირანი).** ანას სურს შეავსოს სურათზე მოცემული პირამიდა. პირამიდის ყოველ უჯრაში მან უნდა ჩაწეროს რიცხვი  $-1$  ან  $+1$  ისე, რომ ქვედა რიგის გარდა ყოველი უჯრის რიცხვი ტოლი იყოს მის უშუალოდ ქვემოთ მდებარე ორი რიცხვის ნამრავლისა. საბოლოოდ, პირამიდის ზედა უჯრაში უნდა იყოს  $-1$ . რამდენი ერთმანეთისგან განსხვავებული გზით შეუძლია ანას ამის გაკეთება?



- (A) 4 (B) 8 (C) 10  
(D) 12 (E) 15

**16 (კატალნია).** ნახაზზე გამოსახულია ფიგურა, რომელზეც მონიშნულია ათი ერთმანეთის ტოლი კუთხე. იპოვეთ მონიშნული კუთხის გრადუსული ზომა.



- (A)  $96^\circ$  (B)  $105^\circ$  (C)  $108^\circ$   
(D)  $115^\circ$  (E)  $120^\circ$


**17 (პოლონეთი).** ხუთმა ათლეტმა: ალექსიმ, ბექამ, კობამ, დავითმა და ერეკლემ მონაწილეობა მიიღეს გარბენში. ერთმა მათგანმა სირბილის დროს ტრამვა მიიღო და შეჯიბრს გამოეთიშა. დანარჩენებმა კი ფინიშის ხაზი სხვადასხვა დროს გადაკვეთეს. შეჯიბრის შემდეგ მათ განაცხადეს:

- ალექსი: "მეორე ან მესამე ვიყავი."
- ბექა: "ფინიშის ხაზი გადაკვეთე და მეოთხე არ ვყოფილვარ."
- კობა: "პირველი ვიყავი."
- დავითი: "მეოთხე ვიყავი."
- ერეკლე: "ფინიშის ხაზი არ გადამიკვეთავს."

ცნობილია, რომ ერთმა მათგანმა იცრუა, ხოლო დანარჩენებმა სიმართლე თქვეს. ვინ იცრუა?


- (A) ალექსიმ (B) ბექამ (C) კობამ (D) დავითმა (E) ერეკლემ

**18 (ვიეტნამი).** სურათზე ნახვენებია ბოთლი, რომელშიც ასხია წყალი. მის მარჯვნივ ნახვენებია იგივე ბოთლი, ოღონდ ამოტრიალებული. ბოთლის ტევადობაა 4.5 ლიტრი. მარცხენა სურათზე წყლით სავსე ნაწილი არის ცილინდრის ფორმის. სულ რამდენი ლიტრი წყალია ბოთლში?



- (A) 2.4 (B) 2.5 (C) 2.7  
(D) 3.0 (E) 3.5


**19 (პერუ).**  $ABCD$  და  $DCEF$  კონგრუენტული მართკუთხედებია.  $O$  არის  $DCEF$  მართკუთხედის დიაგონალების გადაკვეთის წერტილი.  $ABEF$  მართკუთხედის ფართობის რა ნაწილს შეადგენს  $ACO$  სამკუთხედის ფართობი?



- (A)  $\frac{1}{4}$  (B)  $\frac{1}{2}$  (C)  $\frac{1}{3}$  (D)  $\frac{1}{5}$  (E)  $\frac{2}{9}$

ამოცანები მოხაზულია პასუხებთან ერთად. არ გამოიყენოთ კონკურსის დროს!

**20 (ტუნისი).** სურათზე ნახვენებ K-ფორმის ბადეზე მდებარე უჯრებში ირაკლიმ უნდა ჩაწეროს რიცხვები 1-დან 10-ის ჩათვლის, თითო უჯრაში - თითო რიცხვი. მას სურს, რომ უჯრების სამივე ხაზში - იქნება ეს ვერტიკალურად განთავსებული 5 უჯრა, თუ დიაგონალურად განთავსებული 4 უჯრა - რიცხვების ჯამი ერთმანეთის ტოლი იყოს და ამავდროულად, რაც შეიძლება დიდი იყოს. რისი ტოლი იქნება სამი რუხი ფერის უჯრაში ჩაწერილი რიცხვების ჯამი?




- (A) 13                      (B) 18                      (C) 23                      (D) 26                      (E) 27

5 ქულა

**21 (მიანმარი).** ჭადრაკის ჩემპიონატის პირველ ტურში ყოველი ორი მოთამაშე ერთმანეთს ზუსტად ერთხელ ხვდება. მოთამაშე გამარჯვების, ყაიმისა და წაგების შემთხვევაში იღებს, შესაბამისად, 3 ქულას, 1 ქულას და  $-1$  ქულას. პირველი ტურის ბოლოს ყველა მოთამაშის ქულათა ჯამი აღმოჩნდა 90. რამდენი მოთამაშე მონაწილეობდა ჩემპიონატში?

- (A) 5                      (B) 8                      (C) 10                      (D) 12                      (E) 15

**22 (პოლონეთი).** ნახაზზე გამოსახულია დიდი წრე რადიუსით 10 და ცხრა პატარა წრე. თითოეული პატარა წრე ერთდროულად ეხება ორ სხვა პატარა წრესაც და დიდ წრესაც. პატარა წრეების ცენტრებსა და დიდი წრის ცენტრს შორის მანძილთა ჯამი  $d$ -ს ტოლია. გამოსახეთ რუხი ფერის ფიგურის პერიმეტრი  $d$ -ს საშუალებით.



- (A)  $90 - 2d$                       (B)  $90 - d$                       (C)  $180 - d$                       (D)  $180 - 2d$   
(E)  $180 + 2d$

**23 (ბალარუსი).** ორი არაუარყოფითი მთელი  $a$  და  $b$  რიცხვისთვის სრულდება შემდეგი ტოლობა:  $a^b - ab = 2026$ . რისი ტოლია  $a + b$ ?

- (A) 10                      (B) 13                      (C) 15                      (D) 1013                      (E) 1015

**24 (გერმანია).** ანამ ველოსიპედით უნდა გადაიაროს ბილიკი, სადაც წყლის პატარა გუბეა, როგორც სურათზეა ნახვენები.




ჩამოთვლილთაგან როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ბილიკი ველოსიპედის გავლის შემდეგ?

- (A)                      (B)                      (C)                      (D)                      (E)

ამოცანები მოხაზულია გასუხაბთან ერთად. არ გამოიყენოთ კონკურსის დროს!

**25 (სლოვაკეთი).** ქალაქის ორი კონგრუენტული წესიერი ექვსკუთხედი ერთმანეთზე დევს. ექვსკუთხედის გვერდის სიგრძეა 60. ზედა ექვსკუთხედი გადაიტანეს პორიზონტალურად  $AB$  მონაკვეთის სიგრძით, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები. შედეგად მიიღება სამი არე. აღმოჩნდა, რომ სამივე არეს ფართობი ერთმანეთის ტოლია. იპოვეთ  $AB$ -ს სიგრძე. (სურათზე მასშტაბი არ არის დაცული).




- (A) 30      (B) 39      (C) 40      (D) 45      (E) 52

**26 (ინდოეთი).** რეზოს აქვს რვა ჯოხი, რომელთა სიგრძეები ერთმანეთისგან განსხვავებული მთელი რიცხვებია. ცნობილია, რომ ამ რვა ჯოხიდან არცერთი სამი ჯოხით სამკუთხედი ვერ შეიკვრება ანუ არ არსებობს სამკუთხედი, რომლის გვერდები ზუსტად დაემთხვევა ჯოხებს. რისი ტოლია ამ ჯოხებიდან ყველაზე გრძელი ჯოხის უმცირესი შესაძლო სიგრძე?


- (A) 32      (B) 33      (C) 34      (D) 35      (E) 36

**27 (ბრაზილია).** სურათზე მოცემულია  $ABCDEF$  წესიერი ექვსკუთხედი.  $ABGH$  და  $BCIJ$  კვადრატებია, რომელთა  $GH$  და  $IJ$  გვერდები იკვეთება  $P$  წერტილში. იპოვეთ  $JGP$  და  $BGJ$  სამკუთხედების ფართობების შეფარდება.



- (A) 1 : 4      (B)  $\sqrt{3} : 6$   
 (C) 1 : 3      (D) 2 : 5  
 (E) 1 : 2

**28 (უნგრეთი).** წრეწირში, რომლის რადიუსია 12 სმ გავლებულია ორი ურთიერთმართობული ქორდა, რომელიც წრეს ყოფს ოთხ არე (A, B, C, D) ისე, როგორც ნახაზზეა მოცემული. ერთი ქორდა ცენტრიდან დაშორებულია 3 სმ-ით, ხოლო მეორე - 4 სმ-ით. A და C-ს ფართობების ჯამი  $X$  სმ<sup>2</sup>-ით მეტია B და D-ს ფართობების ჯამზე. რისი ტოლია X?




- (A) 9      (B) 16      (C) 36      (D) 48      (E) 60

**29 (იტალია).** ანო და ვანო მონაცვლეობით იღებენ კანფეტებს ყუთიდან: ანო იღებს 1-ს, შემდეგ ვანო იღებს 2-ს, შემდეგ ანო იღებს 3-ს, შემდეგ ვანო იღებს 4-ს და ასე შემდეგ. როდესაც კანფეტები საკმარისი აღარაა ამ წესით გასაგრძელებლად, ის, ვისი რიგიცაა, იღებს ყუთში დარჩენილ ყველა კანფეტს. ბოლოს ანოს სულ აღმოაჩნდა 407 კანფეტი. რამდენი კანფეტი იყო ყუთში თავდაპირველად?

- (A) 814      (B) 827      (C) 834      (D) 841      (E) 851

**30 (ლიეტუვა).** ნინიმ წრეზე განათავსა ციფრები 1, 2, ..., 9 გარკვეული თანმიმდევრობით. შემდეგ მან შეადგინა ყველა სამნიშნა რიცხვი საათის ისრის მიმართულებით განლაგებული სამი ერთმანეთის მომდევნო ციფრით, მაგალითად როგორცაა  $\blacktriangle \blacksquare \blackstar$  და ცხრავე მათგანი ამოწერა ფურცელზე. ერთ-ერთი ასეთი რიცხვია  $a$ . აღმოჩნდა, რომ  $a$  არის დანარჩენი 8 რიცხვის ჯამის გამყოფი. იპოვეთ  $a$ -ს ყველა შესაძლო მნიშვნელობათა რაოდენობა?



- (A) 1      (B) 2      (C) 3      (D) 4      (E) 5